ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

892.8
მ-44

ხელნაწერის უფლებით

ლელა მახაური

# არაბული მარსია და მისი პარალელები კავკასიურ ფოლკლორში

სპეციალობა:
10.01.06 – მახლობელი აღმოსავლეთის ხალხთა ლიტერატურა

ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი სადისერტაციო ნაშრომის

## ავტორეფერატი

თბილისი
2005

ნაშრომი შესრულებულია ივ.ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტის სემიტოლოგიის კათედრაზე

სამეცნიერო ხელმძღვანელი:
ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი **ნანა ფურცელაძე**

ოფიციალური ოპონენტები:

1. **ვახუშტი კოტეტიშვილი**
   ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი 10.01.06.

2. **მურმან ქუთელია**
   ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი 10.01.06.

დისერტაციის დაცვა შედგება 2005 წ. 11 მარტს
ივ.ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის დარგის სადისერტაციო საბჭოს P 10.05. №4 სხდომაზე

მისამართი: 0128 თბილისი, ჭავჭავაძის პრ. №36

დისერტაციის გაცნობა შეიძლება თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში

მისამართი: 0147 თბილისი, უნივერსიტეტის ქ. №2

ავტორეფერატი დაიგზავნა 9.02. 2005 წ.

სადისერტაციო საბჭოს
სწავლული მდივანი,
ფილოლოგიის მეცნიერებათა
კანდიდატი, დოცენტი

რ. ციხითათრიშვილი

## ნაშრომის ზოგადი დახასიათება

**სადისერტაციო თემის აქტუალობა.** გლოვის ჟანრი მსოფლიო ლიტერატურის ისტორიაში ერთ-ერთი უძველესი ჟანრია. იგი გვხვდება ძველ ეგვიპტურ პაპირუსებში, შუმერულ, ძველბერძნულ, რომაულ და სხვა ლიტერატურებში. გლოვის ჟანრი არაბული ლიტერატურის ერთ-ერთი ძირითადი ჟანრია. ეს ჟანრი გვხვდება, ასევე, კავკასიის ხალხთა ზეპირსიტყვიერებაშიც. ლიტერატურის შედარებითი შესწავლა მეტად მნიშვნელოვანია სხვადასხვა ერისა და ეპოქის კულტურულ-ისტორიული თავისებურებების დასადგენად. თემის აქტუალობა ნათელი გახდება, თუ გავითვალისწინებთ, რომ შედარებითი ლიტერატურის ერთ-ერთ ძირითად საკითხს სწორედ ამგვარი უნივერსალური ჟანრებისა თუ მოტივების შედარებთ ასპექტში კვლევა წარმოადგენს.

**ნაშრომის კვლევის მიზნები და ამოცანები.** სადისერტაციო ნაშრომი მიზნად ისახავს სხვადასხვა ისტორიულ და გეოგრაფიულ არეალებში ჩამოყალიბებული პოეტური ნიმუშების – არაბული მარსიისა და ქართულ-ჩეჩნური ხმით ნატირალების შედარებით ასპექტში კვლევის შედეგად გამოავლინოს მათი ტიპოლოგიური ერთიანობა, საერთო თემები და მოტივები. დაადგინოს თუ რა განმასხვავებელი, სპეციფიკური ნიშნით გამოირჩევა ერთი გლოვის ლექსი მეორისგან და რაში მდგომარეობს ამის განმაპირობებელი მიზეზი.

**ნაშრომის სამეცნიერო სიახლე.** წინამდებარე სადისერტაციო ნაშრომი წარმოადგენს არაბული მარსიისა და ქართულ-ჩეჩნური ხმით ნატირალის შედარებით ასპექტში კვლევის პირველ ცდას. რამდენადაც ჩეჩნური ხმით ნატირალი მეცნიერულად ნაკლებ შესწავლილია, შესაძლებლობის ფარგლებში ვცადეთ გამოგვეკვლია იგი თემატური შემადგენლობისა თუ სტრუქტურის თვალსაზრისით.

**ნაშრომის პრაქტიკული მნიშვნელობა.** სადისერტაციო ნაშრომის კვლევის შედეგები გარკვეულ სამსახურს გაუწევს როგორც არაბული ლიტერატურით, ისე ქართულ-ჩეჩნური ზეპირსიტყვიერებით დაინტერესებულ სპეციალისტებსა და სტუდენტებს. შესაძლებლად მიგვაჩნია კვლევით მიღებული შედეგების გამოყენება სასწავლო პროცესში.

**სადისერტაციო ნაშრომის აპრობაცია.** სადისერტაციო ნაშრომი შესრულებულია ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აღმოსავლეთმცოდნეობის სემიტოლოგიის კათედრაზე. ნაშრომის განხილვა და აპრობაცია შედგა ამავე კათედრის სხდომაზე 2004 წლის 29 ოქტომბერს.

**სადისერტაციო ნაშრომის სტრუქტურა და შინაარსი.** ნაშრომი შედგება შესავლის, 3 თავისა (I თავი შეიცავს 4 პარაგრაფს) და დასკვნისგან. ნაშრომს ერთვის დამოწმებული წყაროებისა და ლიტერატურის სია. ნაშრომი შედგება 151 გვერდისგან.

**შესავალში** საუბარია გლოვის ჟანრის არქაულობასა და მნიშვნელობაზე მსოფლიო ლიტერატურის ისტორიაში. დასაბუთებულია ამ თემის კვლევის საჭიროება. მოკლედ მიმოხილული და შეფასებულია სპეციალური ლიტერატურა, გამოკვეთილია კვლევის მიზნები და ამოცანები.

ნაშრომის **I თავი** არაბულ მარსიას ეძღვნება და შედგება 4 პარაგრაფისგან.

**§.1 ისლამამდელი არაბული მარსია და მისი თემატური შემადგენლობა.** ამ პარაგრაფში განხილულია მარსიის წარმოშობისა და განვითარების გზა ისლამამდელ არაბულ პოეზიაში. სპეციალურ ლიტერატურაში მარსია გარდაცვლილისადმი მიძღვნილ ლექსს ეწოდება. თავად სიტყვა მარსია